პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 225 (13917) | კვირა, 24 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

24 სექტემბერი მანქანათმშენებლის დღეა

ტექნიკური პროგრესის საფუძველი

ნ. გოგელაური,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მუშათა ერთ მესამედზე მეტი დასაქმებულია მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საწარმოებში. ისინი მანქანათმშენებლის დღეს მეორედ აღნიშნავენ.

საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. სწორედ ამიტომ ქარხანათა უმეტესობის ასაკი ორ-სამ ათწლეულს თუ ითვლის. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმ მაღალი ტემპით, რომლითაც ტექნიკური პროგრესის საფუძველი — სამამულო მანქანათმშენებლობა ვითარდება.

ეს ზეიმი აღინიშნება მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როცა საბჭოთა ადამიანები იბრძვიან სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის საერთო-სახალხო მზადების დღეებში. საბჭოთა ხალხი, ოქტომბრის იუბილეს ხვდება სიამაყის გრძნობით, რომელიც გამოწვეულია დიდი მიღწევებითა და მომავლის ნათელი პერსპექტივებით. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ თავიანი სახელმწიფოს იუბილეს აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა ახალ წარმატებებს მიაღწიონ შრომაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა, ტექნიკის, კულტურის შემდგომ განვითარებაში.

მანქანათმშენებლები საიუბილეოდ გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაებნენ, იღვწიან, რათა მათი ნახელავი მსოფლიოში საუკეთესო იყოს. საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებანი მიმართულია საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებისაკენ, ახალი სიმძლავრეების დანერგვისა და ათვისებისაკენ, უფრო სრულყოფილი მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების გამოშვებისაკენ, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ეკონომიისა და მომჭირნეობისაკენ. ვალდებულებები შეიცავენ აგრეთვე საყოფაცხოვრებო, კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს, მიმართულს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების დირექტივებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლობის განვითარებას. მანქანათმშენებელთა წინაშე დიდი ამოცანები დგას. მარტო მიმდინარე წელს პროდუქციის გამოშვება 9,5 პროცენტით უნდა გაზარდონ, ამასთან უზრუნველყონ უფრო პროგრესული მოწყობილობათა სახეობების წარმოება, მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, ნაყოფიერების გაზრდა, ეკონომიურობა და სხვ.

მანქანათმშენებლობა საბჭოთა კავშირში მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად დარგად იქცა. ჩვენი მიღწევები მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მანქანათმშენებლობის განვითარებასთან, მათ შორის ისეთ ახალ დარგებთან. როგორიც არის რადიო და ელექტრონული მრეწველობა. მთელ მსოფლიოში ცნობილია, რომ სამამულო მანქანათმშენებლობამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის პრიორიტეტი კოსმოსური სივრცის ათვისებაში სრულყოფილი მოწყობილობანი და ხელსაწყოების შექმნით.

1966 წელს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის საერთო ღირებულება დიდად გადაჭარბა 1913 წლის დონეს. მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში (1957-1966 წ.წ.) შექმნა 29 ათასი ახალი ტიპის მანქანები და მოწყობილობა, 10 ათასზე მეტი ახალი სახის ხელსაწყოები.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ქარხნები ისტორიულად მოკლე დროში მარტივი მანქანების წარმოებიდან გადავიდნენ თანამედროვე რთული მანქანების გამოშვებაზე, რომლებმაც აღიარება ჰპოვეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

1928 წელთან შედარებით 1966 წელს მანქანათსამშენებლო და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა საქართველოში დიდად გაიზარდა. ახლა მისი ხვედრითი წონა რესპუბლიკის მთელი მრეწველობის წარმოებაში საგრძნობლად დიდია. 1967 წელს 1940 წელთან შედარებით ლითონსატვრელი ჩარხების გამოშვება გაიზარდა 5-ჯერ, ავტომანქანების გამოშვება უკანასკნელი 6 წლის მანძილზე გაიზარდა 1,9-ჯერ.

ახალი ხუთწლიანი გეგმის (1966-1970 წ.წ.) მიხედვით საქართველოს მანქანათმშენებლობის პროდუქცია 1,9-ჯერ გაიზრდება. XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მმართველი მათემატიკური მანქანების ქარხნის შენებლობა.

არსებული მოწყობილობის შეცვლა და მოდერნიზაცია, ტექნოლოგიის გაუმჯობესება, საწარმოო სიმძლავრეების უკეთ გამოყენება, მანქანათა ეფექტიანობის გაზრდა რესპუბლიკის მანქანათმშენებელთა პირველი რიგის ამოცანაა.

მოსკოვისა და ლენინგრადის მანქანათსამშენებლო საწარმოები, ლიხაჩოვის სახელობის ავტომქარხანა, ლითონის ქარხანა და სხვები გამოვიდნენ ინიციატორებად და გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის 50 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის. მოსკოვის ავტომშენებელთა და ლენინგრადის ტურბომშენებელთა მოწოდებამ — ავამაღლოთ ხარისხი, გამოშვებული პროდუქციის გამძლეობა — მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მანქანათმშენებლობის საწარმოთა შორის.

ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლები გამოეხმაურნენ მოსკოველებისა და ლენინგრადელების ინიციატივას და თავდადებული შრომით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ.

საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებასთან ერთად მანქანათსამშენებლო საწარმოები დიდ ხოსამუშაოებს ეწევიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასვლასთან დაკავშირებით. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ახალ რეფორმაზე გადასვლა ხელს უწყობს ქარხნათა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

საქართველოს მანქანათმშენებლობის სიამაყეა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტომქარხანა. მიმდინარე წელს ქარხანამ, რომელიც საიუბილეო ვახტზე დგას, აითვისა და სერიულად გამოუშვა ახალი საბრძოლო ავტომობილი „კაზ-608“. პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისთვის თვითეულ მანქანაზე მიღწეულია 63,3 კილოგრამი ლითონის ეკონომია ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა საქართველოს ჩარხმშენებლობის პირმშოა. პროდუქცია, რომელსაც ეს ქარხანა უშვებს, ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის რვა თვის საწარმოო გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა, გეგმის ზევით გამოუშვა 43 ათასი მანეთის პროდუქცია, პითვისა და გამოუშვა ხამი ახალი ჩარხის მოდელი, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 105,4 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების გზით მიღწეულმა ეკონომიამ 228 ათასი მანეთი შეადგინა, ვალდებულებით კი ნაკისრი იყო 100 ათასი მანეთი.

სასახელო მაჩვენებლებით ეგებება იუბილეს თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი ქარხანაში შექმნილია რვაღერძიანი მაგისტრალური ელმავალი ნორმალური სიხშირის. ცვლად დენზე, გამოყენებულია თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევები — მართვის მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

საქართველოს მანქანათმშენებელთა წარმატებებზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა უშვებს და რომლის ავტორებს ლენინური პრემია მიენიჭათ.

ძირფესვიანად იცვალა სახე თბილისის ეგრეთწოდებულმა ძველმა ფოლად-თუჯასამსხმელო ქარხანამ — „ცენტროლიტმა“. ქარხანამ, რომელიც გასულ წლებში ჩამორჩენილთა შორის იყო, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მაჩვენებლები. კოლექტივი ჩაება ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და 1966 წლის პირველი კვარტალიდან 1967 წლის პირველ კვარტალამდე სისტემატურად იკავებდა საპატიო ადგილებს საკავშირო შეჯიბრებაში. საერთო პროდუქციისა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის რვა თვის საწარმოო გეგმა ქარხანამ 104 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერებისა — 105,5 პროცენტით. გეგმის ზევით გამოშვებულია 166 ათასი მანეთის პროდუქცია.

ასრულებს რა საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ გადიდებულ ვალდებულებებს, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის 1966 წლისა და 1967 წლის 8 თვის გეგმები. საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა გაანაღდა 103 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 108 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 102,9 პროცენტით გაზარდა და გეგმის ზევით გამოუშვა 88 ათასი მანეთის პროდუქცია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის 1967 წლის პირველი და მეორე კვარტალების შედეგების მიხედვით ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა, ხოლო ქუთაისის ელექტრომექანიკური, ახალციხის ელექტროძრავისა და ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნები ხშირად იკავებენ საპატიო ადგილებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში თავი გამოიჩინეს ბათუმის მანქანათსამშენებელთა, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო, ფოთის ჰიდრომექანიზაციის, თბილისის სახეი ჩარხების, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, ქარხანა „თბილისელსაწყოს“, რუსთავის ამწყობამშენებლო, თბილისის საინსტრუმენტო, თბილისის ფსამი და მეოთხე მექანიკური ქარხნების კოლექტივებმა.

ახალი ტექნიკის შექმნაში, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფაში, სამეურნეო რეფორმის განხორციელებასა და რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში შრომის მეცნიერული დაგეგმვის საქმეში წარმოების მუშაკებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საკავშირო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სპეციალური საკონსტრუქტორო ორგანიზაციები.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მანქანათმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა ხარჯზე საიუბილეო წელს მიიღონ 3.255 ათასი მანეთი ეკონომია. ფაქტიურად ამ ციფრს წლის პირველ ნახევარში გადაჭარბეს — სახელმწიფოს მისცეს 3.258 ათასი მანეთი ეკონომია. მოწინავეთა რიგებში დგანან ქუთაისის ავტომქარხანა (260 ათასი მანეთზე მეტი ეკონომია), რუსთავის ამწეთსამშენებლო ქარხანა, რომელმაც 42 ათასი მანეთის ნაცვლად 45 ათასი მანეთი ეკონომია მისცა სამშობლოს, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხანა, თბილისის ფოლად-თუჯასამსხმელო ქარხანა და სხვ. თბილისის ელმავალსამშენებელო ქარხნის რაციონალიზატორებმა წარმოებაში დანერგეს 292 რაციონალიზატორული წინადადება, რითაც გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი მანეთის ნაცვლად სამშობლოს მისცეს 190 ათასი მანეთი ეკონომია. თავი ისახელეს აგრეთვე ქარხანა „თბილელექტროზოლიტის“ (ეკონომია 142,3 ათასი მანეთი), ქუთაისის ელექტრომექანიკური (დაზოგა 124 ათასი მანეთი), ქარხანა „მიკროძრავის“ (67,1 ათასი მანეთი), პლასტმასის (62 ათასი მანეთი) და სხვა ქარხნების კოლექტივებმა.

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობაში მიღწეული ეს წარმატებები შედეგია იმ ყოველდღიური ზრუნვისა, რომელსაც ამ დარგისადმი იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ორ თვეზე ცოტა დრო დარჩა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულამდე. ამ დღეებში ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელი უპატაჟებს პარტიის იმ შრომითს გამარჯვებებს, რომელთა ავანგარდშიც კომუნისტური შრომის დამკვრელები, წარმოების მოწინავენი და ხელოვნერები დგანან. მათს რიცხვში არიან რესპუბლიკის მანქანათსამშენებელო მრეწველობაში სახელმოხვეჭილი მოწინავე ადამიანები — სოციალისტური შრომის გმირები გამმართველი ილია ხაზარაძე, ხარატი პასელ პაპინაშვილი, ხარატი შოთა შირიცხალაშა, მოდელიერი ვასილ ბერიოძაკი, ორდენსანები ბურაშ ჩადენელი, ირაკლი ბელაშვილი და მრავალი სხვა, რომლებსაც თავიანთი თავდადებული შრომით დიდი წვლილი შეაქვთ ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ახალი შრომითი მიღწევებით ეგებებიან საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკები თავიანთ დღესასწაულს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს 8 თვის საწარმოო გეგმა. საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება. ყველა ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ მუდმივად დაისაკუთრონ საბჭოთა ხელისუფლებას 50 წლისთავის აღსანიშნავად დაწესებული სამახსოვრო წითელი დროშები.

მანქანათმშენებლის დღე მანქანათმშენებლობის ყველა მუშაკის შრომითი დიდების დღეა. მისი დაწესებით ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ერთხელ კიდევ გაუსვეს ხაზი, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობენ მძიმე მრეწველობის გულს — მანქანათმშენებლობას.

საიუბილეო ვახტზე

საბჭოთა საქართველო



დიდ წარმატებას მიაღწია საიუბილეო წელს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გურამ ჩადუნელი უძღვება.

ბრიგადის წევრებმა 23 აგვისტოსათვის გაანაღდეს წლიური გეგმა და ახლა 1968 წლის ანგარიშში მუშაობენ.

სურათზე: მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ჩადუნელი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მომავალი თვის ანგარიშში

ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი საიუბილეო წელს ალმავლობით მუშაობს. ჩვენმა კოლექტივმა უკვე შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების ცხრა თვის დავალება, ოქტომბრის ანგარიშში სამშობლოს მისცა 6.000 ტონა უმაღლესი ხარისხის მარგანეცი — პეროქსიდი, მარტო ხელფასის ფონდში დაზოგა 32.566 მანეთი.

საიუბილეო ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც ა. ბარბაქაძე, ბ. კენჭოშვილი, შ. ფხალაძე, ტ. ფერაძე უძღვებიან. მათ მხარდამხარ მიჰყვებიან პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკისა და საჰაერო საბაგირო გზების კოლექტივები, რომლებსაც ინჟინერები გ. გაფრინდაშვილი და ვ. ხვედელიძე ხელმძღვანელობენ.

ვ. სამხარაძე,
ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორი,

პ. კაკაბაძე,
პარტიული კომიტეტის მდივანი.

ცხრა თვის დავალება — ვადამდე

ქუთაისი. (საკ. კორ.). სასახელოდ შრომობს საიუბილეო წელს რეზინ-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ცხრა თვის დავალება რვა თვეში შეასრულა და ოქტომბრის ანგარიშში ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა. განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 341 ათასი მანეთის ნაწარმი.

ქიმიკოსებმა დავალებას ყველა დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით გადაამტეს. ამასთან შრომის ნაყოფიერება 11 პროცენტით აამაღლეს. თვითღირებულების შემცირების შედეგად ღანტებით დაზოგეს 35 ათასი მანეთი.

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ცხრა თვის გეგმა

ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქალაქ თბილისის მრეწველობის მშრომელებმა ვადამდე, 23 სექტემბრის მიაღწიეს მთლიანი პროდუქციისა და მეტწილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1967 წლის ცხრა თვის გეგმა.

სამრეწველო წარმოების მოცულობა შარშანდელთან შედარებით 10,6 პროცენტით გაიზარდა.

ქალაქის მრეწველობის მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი 1967 წელს 20 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების შესახებ შესრულებულია ვადამდე, 7 თვეში.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს კომუნისტური შრომის საწარმოებმა — დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ავჭალის შუშის, № 1 ღვინის, კონიაკის ქარხნებმა, ჩაის საწონმა ფაბრიკამ, კერამიკულმა კომბინატმა, აგრეთვე ამ საპატიო წოდებისათვის მებრძოლმა ქარხნებმა: ორჯონიკიძის სახელობის სახელგანთქმული იყო რუსეთი, დადასტურდა პროგრამის დასაწყისშივე, როცა პათეტიკურად აფიერდა დ. შოსტაკოვიჩის სიმფონიური პოემა „ოქტომბერი“, რომელიც ავტორმა დიდ ორმოცდაათი წლისთავს მიუძღვნა. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი პირველი ინტერპრეტატორია სსრ კავშირის დიდი თეატრის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი კომპოზიტორ მაქსიმე შოსტაკოვიჩის დირიჟორობით.

ფრაგმენტებმა გ. სვირიდოვის „პათეტიკური ორატორიიდან“, რომელიც საბჭოთა მუსიკალურ კლასიკაში შევიდა, ზეიმური ხასიათი მისცა მთელ კონცერტს, რომელშიც წამყვანი იყო ოქტომბრის თემა.

რუსეთის ტალანტების

მანქანათსაშენებელმა, ფოლადთუჯასამსხმელო, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, № 3 ღვინის, № 5 პურის, № 2 ავტოსარემონტო ქარხნებმა, კამვოლ-მატუნის, რძის, ცხინვალის, საკონდიტრო, საშენ მასალათა კომბინატებმა, გრეხილი ავეჯის, № 1 და № 6 სამკერვალო, მარმელადის ფაბრიკებმა, № 5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორამ და სხვებმა.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე ბევრი საწარმოს გადასვლამ, ქალაქში ხუთ სამეფოდ გაშალეს სოციალისტური ვალდებულებანი 1967 წელს 20 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების შესახებ შესრულებულია ვადამდე, 7 თვეში.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს კომუნისტური შრომის საწარმოებმა — დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ავჭალის შუშის, № 1 ღვინის, კონიაკის ქარხნებმა, ჩაის საწონმა ფაბრიკამ, კერამიკულმა კომბინატმა, აგრეთვე ამ საპატიო წოდებისათვის მებრძოლმა ქარხნებმა: ორჯონიკიძის სახელობის

მუშაო და ორდასვენებისდღიან კვირის შემოღებამ ფართო შესაძლებლობა შექმნეს შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი გადიდებისათვის, მშრომელთა კულტურული ღონის, საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისა და უკეთ დასვენების უზრუნველყოფისათვის.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ საყოველთაოსახალხო დღესასწაულს.

ვრცელია მშობლიური რუსეთი!

21 სექტემბერს მოსკოვში დაიწყო რუსეთის სსსრ კულტურისა და ხელოვნების დღეები.

რუსეთის ყველა კუთხიდან — ბალტიკიდან ჩუკოტკამდე — მშობლიურ დედაქალაქში ჩამოვიდნენ სტუმრები (3 ათასზე მეტი კაცი!).

რუსეთის ფედერაციის კულტურისა და ხელოვნების დღეები გაიხსნა კრემლის თეატრში გამართული კონცერტით. ეს იყო იმ დღესასწაულ-ანგარიშის თავისებური შესავალი, რომელსაც რუსეთის ხელოვნების ოსტატები იწყებენ. მათი სახელით მოსკოველებს მიეხალმა რუსეთის სსსრ კულტურის მინისტრი ნ. ა. კუზნეცოვი.

მხატვრული შემოქმედების მაღალი დონე, რომლითაც ყოველთვის

სახელგანთქმული იყო რუსეთი, დადასტურდა პროგრამის დასაწყისშივე, როცა პათეტიკურად აფიერდა დ. შოსტაკოვიჩის სიმფონიური პოემა „ოქტომბერი“, რომელიც ავტორმა დიდ ორმოცდაათი წლისთავს მიუძღვნა. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი პირველი ინტერპრეტატორია სსრ კავშირის დიდი თეატრის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი კომპოზიტორ მაქსიმე შოსტაკოვიჩის დირიჟორობით.

ფრაგმენტებმა გ. სვირიდოვის „პათეტიკური ორატორიიდან“, რომელიც საბჭოთა მუსიკალურ კლასიკაში შევიდა, ზეიმური ხასიათი მისცა მთელ კონცერტს, რომელშიც წამყვანი იყო ოქტომბრის თემა.

რუსეთის ტალანტების

მთელ სიმდიდრეს ვერ წარმოსახავს ვერც ერთი კონცერტი, რა გრანდიოზულიც უნდა იყოს იგი. და თუ ეს მაინც რამდენადმე მოხერხდა, ამაში დამსახურება მოუძღვის მთავარ რეჟისორს ი. შაროევს, რომელმაც პროგრამაში შეიტანა ეროვნული მუზის მკაფიოდ განმასახიერებელი ნომრები.

22 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს რუსეთის დიდი შვილების ა. ს. პუშკინის, პ. ი. ჩაიკოვსკის, ა. მ. გორკის, ვ. ვ. მაიაკოვსკის ძეგლები.

შემდეგ დღეების მონაწილეებმა მოინახულეს ტარას შევჩენკოსა და შოთა რუსთაველის ძეგლები. მომმე უკრაინელი და ქართველი ხალხების შვილების ძეგლები ცოცხალი ყვავილებით შეამკეს.

ყვავილებით შეამკეს აგრეთვე ი. ე. რეპინის ძეგლი. ლენტზე წარწერილი იყო სიტყვები: „დიდ რუს მხატვარს ილია ეფვთიმეს-ძე რეპინს საბჭოთა რუსეთის მხატვრებისაგან“.

(საკ.).

ახალი განყოფილება ლენინის მუზეუმში

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ექსპოზიციას ახალი განყოფილება შეემატა. იგი ეძღვნება ლენინის შრომას „სახელმწიფო და რევოლუცია“. შემოქმედებითი მარქაიშვილის თვალსაჩინო ნაწარმოები ვლადიმერ ილიას-ძეს დაწერა 50 წლის წინათ — 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში, როცა რაზლივლისა და ჰელსინგფორსში ცხოვრობდა.

ვიტრინებში და სტენდებზე ფართოდ არის წარმოდგენილი ლენინისეულ ხელნაწერთა ფოტოპირები, გეგმები, კონსპექტები, შენიშვნები, მოსამზადებელი მასალები ზოგიერთი, რომელშიც პირველად არის ჩამოყალიბებული უფრო სრულად და სისტემატურად მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეს შრომა 204-ჯერ და მეტჯერ გამოიცა ორმოცდაათ ენაზე. ბევრი ეს გამოცემა წარმოდგენილია დარბაზში. (საკდესის კორ.).

რუსეთის სსსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

რუსეთის სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 22 სექტემბრის ბრძანებულებით დაადგინა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მოიწვიოს 1967 წლის 17 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში. (საკდესი).

დიდი ოქტომბრის გზით

ბაქოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ბაქო, 22 სექტემბერი. (საკდესი). ოთხ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში“.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა ხალხს, რომელიც უანგაროდ ეხმარება ყველას, ვინც იბრძვის კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. აღნიშნეს, რომ სწორედ საბჭოთა კავშირმა შეუფასებელი ხელი იმპერიალიზმს ჩაეშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველთვიურის „აბ-ტალიას“ („ავანგარდი“) მთავარი რედაქტორის ლუფფი ან-ჰოლის გამოსვლას (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა).

ალჟირელი ხალხი, თქვა კერეგანმა, ალჟირის ეროვნული გათავისუფლების ფრონტის პარტიის წარმომადგენელმა, დიდად აფასებს საბჭოთა ხალხისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცადინეობას, რომ მშვიდობა დაამყარონ მთელ მსოფლიოში, დაეხმარონ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. მან ილაპარაკა თავის ქვეყანაში სოციალისტური გარდაქმნის პირველ ნაბიჯებზე.

დოქტორმა ბ. პრასადმა (საერთაშორისო კვლევის სკოლა, ინდოეთი), აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ხელი შეუწყო ინდოელი ხალხის სოციალური თვითშეგნების ზრდას.

კონფერენციაზე გამოსულებმა ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კ. კ. კარაკეევმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ნ. ი. სტ.-ურუამ, უზბეკმა პროფესორმა ხ. შ. ინოიატოვამ და სხვა საბჭოთა მეცნიერებმა დამსწრეთ გაუზიარეს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, გაანალიზეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის რთული პროცესები.

კონფერენციაზე გამოვიდა მისი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. აბუნდოვი.

კონფერენციის დახურვის შემდეგ მონაწილეები გაემართნენ კასპიის ზღვის ნაპირისაკენ, სადაც ბაქოს შეხვედრის აღსანიშნავად გააშენეს სოლიდარობის ხეივანი.

საღამოს საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობამ დარბაზობა გაუმართა კონფერენციის მონაწილეთა პატივსაცემად. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-179“

1967 წლის 22 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-179“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) 208 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) 145 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა 50 გრადუსი.

ვიეტნამი და მტკიცდება საბრძოლო მეგობრობა

ერთიანი კომუნიკე

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მოლაპარაკება. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას — ვიეტნამის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლე თხან ნგი.

ლე თხან ნგი მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. შეხვედრების დროს გაიმართა საუბრები, რომლებმაც ჩაიარეს მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მოლაპარაკების დროს მხარეებმა განიხილეს სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისა და გაფართოების საკითხები, აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი შემდგომ დახმარებას გაუწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მოგერიების საქმეში. დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აგრეთვე აზრი, თუ როგორ სრულდება 1967 წელს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის წინაშე დადებული შეთანხმებ

ჩვენი ხალხისათვის მუდამ წმიდათაწმიდა იქნება ლენინელი ბოლშევიკების, სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა ხსოვნა. მათი ღვაწლი მუდამ ემსახურება მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის დიად საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

დიახ, ამ ქვეყნად ყველაზე მაღლა

ფერილი ლენინგრადიდან

ღეიულს, გაზაფხულზე ფინეთის ვაგზალთან, ლენინის მოედანზე ლენინგრადელებმა ემიგრაციიდან პეტროგრადში ვ. ი. ლენინის დაბრუნების 50 წლისთავი იდღესასწაულეს. მაშინ, 50 წლის წინათ, ფინეთის ვაგზალზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს გადაეცა პარტიული ბილეთი № 600. ილიჩი რსდმპ (ბ) ვიბორგის რაიონული პარტიული ორგანიზაციის წევრი გახდა.

ვ. ი. ლენინის მთელი სიცოცხლე დაკავშირებულია ნევაზე მდებარე ქალაქთან, დღეს მისი დიდებული სახელი რომ ჰქვია. მაგრამ ახლა მხოლოდ ლენინგრადის ერთ რაიონზე — ვიბორგის რაიონზე გესაუბრებით, სადაც ილიჩი პარტიულ აღრიცხვაზე იმყოფებოდა, ვიბორგის მხარის იმ მშრომელებზე გესაუბრებით, ნამდვილად ღირსნი რომ არიან დიდი ლენინის პარტიის წევრის სახელისა.

* * *

ლენინგრადში რომ ჩამოხვალთ, ნევისა თუ ნარვის პროსპექტებზე იმ ადგილებს ნახავთ, სადაც ახალგაზრდა ლენინი გაული საუკუნის ბოლო წლებში შეხვდა ფარული მარქსისტული წრეების წევრებს. მიყყვებით ქალაქის ცენტრალურ კვარტალებს... ლენინი საჯარო ბიბლიოთეკაში მეცადინეობდა, 1905 წელს ნევაზე, ფონტანკის ნაპირებზე ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნს“ რედაქტორობდა, ტექნოლოგიური ინსტიტუტის შენობაში პიტერის სოციალ-დემოკრატების კრებაზე სიტყვას წარმოთქვამდა, კონსპირაციულ ბინაში ხელნაწერებში თავჩაქინდრული მუშაობდა...

ლენინს მთელი ვიბორგის მხარე უცქერდა და უსმენდა. გავყვეთ პროსპექტებს, ნევის ნაპირებიდან შორს რომ გადაჭიმული. ჩვენს ქალაქში მშვენიერი, დიდებული მაგისტრალებია, მაგრამ აქაც კი ცოტაა ისეთი ქუჩები, რევოლუციის ისტორიასთან დაკავშირებული ამდენი ადგილი რომ იყოს. კარლ მარქსის პროსპექტი... ოდეკოლე მას დიდი სამპსონიევის ქუჩა ერქვა. ქუჩაზე რომ დადიხარ, თავი მუზეუმის დარბაზებში გგონია. არა, ეს მუზეუმი როდის, ეს დღევანდელი სიცოცხლით სავსე ქალაქის — ლენინგრადის ერთი ნაწილია, მაგრამ აქ თანამედროვეობის ხმა ისტორიის ხმას ეჯიბრება.

გვახსოვს 1917 წლის აპრილის ღამე. რევოლუციური პეტროგრადი ისევ იყო ხედბოდა ლენინს. ფინეთის ვაგზლის პერონზე პარტიის ვიბორგის რაიონული კომიტეტის წევრმა, მუშა-ბოლშევიკმა ივანე ჩუგურინმა ლენინს ჯადასცა პარტიული ბილეთი № 600. ლენინი ვიბორგის მხარის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი გახდა. იმ ღამეს ჯავშნოსანი ნელა მიდიოდა პეტროგრადის ქუჩებში. მას მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურები მიაცილებდნენ. გზაში მანქანა შეჩერდა. ილიჩი სალამს სალმით უპასუხებდა. ლენინური ჯავშნოსანი დიდი სამპსონიევის ქუჩაზეც გაჩერდა...

ვიბორგის ბოლშევიკებთან ლენინს დიდი მეგობრობა აკავშირებდა. სხვათა შორის, ლენინს მათი ზოგიერთი საქციელი რომ საცდოდა, არ მოეწონებოდა. როგორც ცნობილია, პეტროგრადში ჩამოსვლის შემდეგ, ლენინი ხშირად გამოდიოდა მიტინგზე. და სადაც უნდა ყოფილიყო ილიჩი, ყველანაგ ვიბორგის მხარის მუშა-ბოლშევიკთა ჯგუფი შემოეხვეოდა ხოლმე გარს. ისინი მარტო ლენინის მოსასმენად როდი იკრიბებოდნენ. ილიჩთან შეხვედრაც კი მათ დიდ სიხარულს ანიჭებდა. ისინი ლენინს უსმენდნენ, თან ფხიზლად იყურებოდნენ აქეთ-იქეთ. არავის არ დაუვალებია მათთვის ლენინის დაცვა, თვით ახლო მეგობრებმაც კი არაფერი იცოდნენ იმ მოვალეობაზე, რაც მათ თვითონ იკისრეს, ლენინმაც არაფერი იცოდა. ლენინის გამეცილებლები ცდილობდნენ მას არ შეემჩნია ისინი, რომ არ მიმხვდარიყო, თუ რაგომ მისდევდნენ ასე ფეხდაფეხ. სხვაგვარად მოქცევა მათ არ შეეძლოთ, რადგან იცოდნენ, თუ როგორ სძულდათ რევოლუციის მტრებს მუშათა კლასის ბელადი.

ვიბორგელთა ერთი ჯგუფიც იყო. ეს ჯგუფი პარტიის ვიბორგის რაიკომის დავალებით მოქმედებდა. მან იმ სახლთან მორიგეობა ითავა, სადაც ლენინი ცხოვრობდა. ეს მარიამ ილიას ასულმა იცოდა. ხანდახან ის ვიბორგელებს ეპატიჟებოდა და ჩაით უმასპინძლდებოდა. და აი ერთხელ, ვლადიმერ ილიას-ძე შინ სწორედ იმ დროს დაბრუნდა, როცა ჩაის სვამდნენ. ის გულთბილად მიესალმა სტუმრებს, უფრო მეტად კი იმან გაახარა, რომ ისინი ვიბორგელები აღმოჩნდნენ, მაგრამ შემდეგ, საუბრის დროს მათ უთხრა:

— მე შევნიშნე, რომ თქვენ ხშირად იმყოფებით ჩვენს სახლთან. აბა, თქვით, ხმა ამოიღეთ, რატომ სჩადიხართ ამას? თქვენ უთუოდ ჩემი პიროვნების დაცვა განიზრახავთ, არა? შენ, მარიამ, ცხადია, შეთქმული ხარ მათთან.

ისე მოხდა, რომ ყველაფერი აშკარა გახდა. ლენინმა მადლობა გადაუხადა ვიბორგელებს, მაგრამ დაცვის მოხსნა კი მოითხოვა. მაგრამ იშვიათი შემთხვევა მოხდა — ვიბორგელმა ბოლშევიკებმა არ შეასრულეს ლენინის მოთხოვნა, თუმცა ისინი ამის შემდეგ უფრო ფრთხილად იქცეოდნენ.

ივლისის ამბების შემდეგ კი ვიბორგის მხარის ბოლშევიკებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით დამალეს ვლადიმერ ილიას-ძე, მისთვის კერენსკის ნაგაზებს რომ არ მიეგნოთ. მათ ლენინი ივლისის პირველ დღეებში, მისი რაზლივში გამგზავრების წინადღესაც დამალეს და შემდგომაზეც. როცა იგი პეტროგრადში ლეგალურად ჩამოვიდა, ხელში რომ აეღო შეიარაღებული აჯანყების უშიალო ხელმძღვანელობა.

აი რა მოგონებებს აღგვიძრავს ვიბორგის მხარის ქუჩები. ამჯერად კი ორი ვიბორგელი ბოლშევიკის — სერგეი ივანეს-ძე და მიხეილ მათეს-ძე ივანოვების ამბავს მოგიყვებით. მიხეილ მათეს-ძის ამბით დავიწყებ. არა, ის არც 1917 წელს იცავდა ლენინს და არც წითელგვარდიელ რაზმში შედიოდა, რომელმაც იერიში მიიტანა ზამთრის სასახლეზე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროიდან 15 წელიწადი გავიდა, სანამ მიხეილ ივანოვი ამ ქვეყანაის მოეკლინებოდა. და თუ დღეს ამ მოკრძალებულ ადამიანს რევოლუციონერს ვუწოდებთ, მე ვიცი, რა ძლიერ გაუკვირდება ეს და ალბათ ეწყინება კიდეც. თავის თავზე ასეთი რამ რომ წაიკითხოს.

მაგრამ გულდამშვიდებით გავარკვიოთ ყველაფერი. მოდით უსუფეს ბოლშევიკს — ელენე დიმიტრის ასულ სტასოვას მივმართოთ. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან „პრავდისათვის“ წერილი დაწერა. ეს წერილი ამა წლის დამდეგს გამოქვეყნდა. სტასოვა იმ დიად მიმიზეზ ოლპარაკობდა, მისი შესრულება წილად რომ ხვდა რევოლუციონერთა ახალ თაობას. სტასოვა წერდა, რომ რევოლუცია, რომელიც მისი თაობის ხალხმა დაიწყო, გრძელდება, რომ მისი „ბარიკადები“, სადაც რევოლუციის ფოლადი იწრთობოდა, სადაც ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას სწავლობენ, დღეს ქარხნების საამქროებია, მაღაროებია, შენებლობებია, მშრომელთა მოღვაწეობის ყველა უბანია, სადაც კომუნიზმის სახელით შემოქმედებითი შრომა შეფობს.

და აი თუ ადამიანს ამ საზოგადო მივუდგებით, მიხეილ ივანოვი, კ. მარქსის სახელობის ქარხნის ხარატი, 1967 წლის მარტიდან სკკპ წევრი, ჩვენი დღეების ვიბორგელი მუშა-რევოლუციონერია. განა კმარა, რომ მასზე ვთქვათ, მუშაობსო? კარგად მუშაობსო, რომ ვთქვათ, ესეც იყოს იქნებაა. ის მუდმივად იძიებს, აგებს, ქმნის. ხარატ მიხეილ ივანოვს უყვარს, დეტალების დამუშავების რაციონალურ ხერხებს რომ ეძებს. მას ეს უპირველეს საქმედ მიაჩნია. მაგრამ მას, მშვიდ და კეთილ ადამიანს, ხასათის სიმტკიცეც მოეპოვება, ნათელი სიტყვაც, და იმის უნარიც შესწევს, რომ ცხარე კამათში ჩაებას, როცა საჭიროა თავიდან მოვიშოროთ, რაც კი ახალი, სასარგებლო საქმის გზაზე გვეღობება, რაც კი ხელს უშლის წარმოების სარგებლიანობას.

ამ ცოტა ხნის წინათ კ. მარქსის სახელობის ქარხანაში სხვადასხვა თაობის ადამიანთა შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრის მონაწილეთა შორის ხარატი მიხეილ ივანოვიც იყო. სერგეი ივანოვსაც ელოდნენ, მაგრამ არ შეეძლო და ვერ მოვიდა. მასზე, შეხვედრის გახსნისას, მოკლედ ილაპარაკა პარტიული კომიტეტის მდივანმა. თქვენ შეგიძლიათ ვიბორგის მხარის მუშა-რევოლუციონერის სერგეი ივანოვის სახელი პარტიის ისტორიის მეორე ტომშიც ამოიკითხოთ. მოსკოვში, რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმში ინახება მის სახელზე გაცემული მანდატი ვიბორგის მხარის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს წევრობისა. დეპუტატად ს. ივანოვი 1917 წელს იყო არჩეული. პირველი მსოფლიო ომის წლებშივე ახალგაზრდა ზეინკალი ს. ივანოვი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო. თვითმპყრობელობის დამხობის დღეებში პოლიციასა და მეფის არმიასთან მუშების შეტაკებაში მონაწილეობდა. ოქტომბრის რევოლუციის წინადღეს თავის ქარხანაში წითელი გვარდიის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. სამოქალაქო ომის წლებში კი პიტერელი ბოლშევიკი ს. ივანოვი კოლჩაკის წინააღმდეგ იბრძოდა.

მიხეილ ივანოვის ცხოვრება თითქოს არც ისე მდიდარია ღირსშესანიშნავი მოვლენებით. თექვსმეტი წლის ჭაბუკი ქარხანაში ხარატის შეგირდად შევიდა და ჩარხთან დადგა. ეს სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სულ მოკლე ხანში მოხდა. „და აი ვმუშაობ — ამბობს მიხეილ მათეს-ძე, — ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერია.

ნამდვილად კი არის განსაკუთრებული რამ მის ცხოვრებაში! და ძალიან მნიშვნელოვანი რამ! ვეტერანებს ახსოვთ დღეები, როცა კ. მარქსის სახელობის ქარხანა პირველ მანქანებს ამზადებდა. ცხადია, ის მანქანები სრულებით არა ჰგავდა თანამედროვე მანქანებს, რომლებსაც ქარხანა ახლა ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის საფეიერო კომბინატებისა და ქიმიურ საწარმოებს აწვდის. როცა ქარხანამ საფეიერო მრეწველობისათვის პირველი მანქანები გამოუშვა, მათ ლენინგრადის ფაბრიკებიც კი ვერ იღებდნენ გაბედულად. უპირატესობას ინგლისურ მანქანებს ანიჭებდნენ. ახლა კი ლენინგრადის მარკის მანქანებს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში, მონღოლეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — საფეიერო ფაბრიკებშიც ნახავთ. ლენინგრადული მანქანები ინდოეთში, პაკისტანსა და სხვა ქვეყნებშიც გადის. კ. მარქსის სახელობის ქარხანა—საბჭოთა ფირმის მთავარი საწარმო — ღირსეულად გაგიდა საერთაშორისო ბაზრაზე. და სწორედ ეს არის ის „ბარიკადები“, ელენე დიმიტრის ასული სტასოვა რომ წერდა. და ამ ბარიკადებზე შეუპოვრად და ეფექტურად, ნათელი აზრითა და მეზნებარე გულით, რომ იბრძოდა, ტექნიკური კულტურის მაღალ დონეს რომ ამაღლებენდა, მოწონავე საბჭოთა მუშა პარტიაში შევიდა, კომუნისტის სახელის ღირსი გახდა.

კ. მარქსის სახელობის ქარხანაში ისინიც მუშაობენ, ვინც შრომითი ცხოვრება პირველი ხუთწლედის დღეებში დაიწყო. მათ ახსოვთ შორეული 1931 წლის მაისის საღამო, ვიბორგის კულტურის სასლის საზეიმოდ მორთული კედლები. ქარხნის კოლექტივი სასხარულო მოვლენას აღნიშნავდა: პირველი ხუთწლიანი გეგმის ორწელიწადსახევარში შესრულებისათვის ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოებას. მთელი დარბაზი მიესალმა წარჩინებულ ადამიანებს, მათ შორის ნიკანორ ილიას-ძე კოლოდკინს, „მღარავთა მამას“, დამკვრელთა ბრიგადის ხელმძღვანელს. მალე ნიკანორ ილიას-ძე მოსკოვს გაემზადარა და, როცა იქიდან დაბრუნდა, ყველას უამბო. თუ როგორ გადასცა მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა. შრომის წითელი დროშის ორდენი. იმ დროს ნიკანორ ილიას-ძის შვილი, ხარატი ივანე კოლოდკინი ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა იყო. გავიდა დრო, და ლენინგრადმა შეიტყო სახელი მუშა კომუნისტის, წარმოების ნოვატორის ივანე ნიკანორის-ძე კოლოდკინისა, რომელიც მუყაითი შრომისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოდს. შვილი მამის კვალს გაჰყვა.

ჩვენი დროის ვიბორგელი ბოლშევიკები ამაყობენ, რომ ისინი იმ პარტიული ორგანიზაციის წევრები არიან, რომელშიც 1917 წელს ლენინი ირიცხებოდა. რომ იმ პარტიის წევრები არიან, რომელიც ლენინმა გამოაწრთო, რომელიც ჩვენი ეპოქის გონების, ღირსებისა და სინდისის განსახიერებაა.

დრო იცვლება. პარტია ახალ ამოცანებს წყყვეტს. მაგრამ დღეს, როგორც ყოველთვის, პარტიის წევრის ცხოვრების კანონად ითვლება ლენინის სიტყვები, რომ კომუნისტებს ძალუძთ რევოლუცია და მისი გაძარჯვება. მშობიერი პარტიის საქმე ამ ქვეყნად ყველაზე მაღლა დაადგენონ, დიახ, ამ ქვეყნად ყველაზე მაღლა!

ს. პოლესიეევი.

* * *

ლენინგრადი. ვ. ი. ლენინის ძეგლი სმოლნთან.
(საკლესის ფოტოქრონიკა).

თქმულება ნამდვილ ადამიანზე

1929 წელი... საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას, მაგრამ მრავალრიცხოვან მტერს ჯერ კიდევ შერჩენია ძველის აღდგენის იმედი, გულში საბჭოთა ხელისუფლებისადმი მგლური სიძულვილი არ განელებია.

მათი უკანასკნელი იმედი ამ წლებში შუა აზიიდან საზღვარგარეთ გაქცეულ ნაძირალა ბაებზე იყო დამყარებული. და აი მართლაც, შეიქმნა ბასმაჩთა მრავალრიცხოვანი ბანდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პირწავარდნილი არამზადა მაქსუმ ფაიზული. ბანდა კარგად იყო შეიარაღებული. მას დიდხანს და გულმოდგინედ წვრთნიდნენ უცხოელი ინსტრუქტორები. 1929 წლის 13 აპრილს ავაზაკთა ბრბო საბჭოთა ტაჯიკეთის ტერიტორიაზე გადმოისროლეს. მათ ასეთი დავალება მიიღეს პატრონებისაგან, აეფეთქეთ ხიდები მთებში, გადაჭერით ყველა გზა, მოწყვიტეთ პაპირი საბჭოთა ქვეყანასო.

22 აპრილს ბასმაჩებმა შეძლეს მიახლოებოდნენ ქალაქ გარმს. 22-დან 23 აპრილამდე მთელი ღამე არ გაუწყვეტია კავშირი გარმის თავდაცვის შტაბს დუშანბესთან, სადაც შუა აზიის სამხედრო ოლქის სარდალი დიბენკო იმყოფებოდა.

— გამაგრება შეუძლებელია, — ატყობინებდნენ სარდალს ტელეგრაფით გარმიდან.

— დამხმარე ძალები უკვე გამოგზავნილია, არავითარ შემთხვევაში არ დატოვოთ ქალაქი, — მოითხოვდა დიბენკო.

სწორედ ამ დროს გამოცხადდა თავდაცვის შტაბში ლუარსაბ ბოსტაშვილი.

— ჩამრიცხეთ დამცველთა რაზმში. მომეცით იარაღი, — მოითხოვა მან. შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კრავუკი. რა იცოდა მან ბოსტაშვილის შესახებ? ყველასათვის ცნობილი იყო ერთი რამ: ბოსტაშვილი იყო მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი. იგი ქალაქში რამდენიმე წლის წინათ დახახლდა, იმახაც ამბობდნენ, რომ მას კონფლიქტი ჰქონდა ქართველ მენშევიკებთან, შემოაკვდა ოფიცერი თუ გენერალი და მერე აქეთ გადმოიხვეწაო. ბოსტაშვილი ცხოვრობდა უბრალოდ. მუშაობდა ცხენსაშენში.

— იქნებ მართლა მივცე იარაღი, — ქალაქს ძალიან ცოტა დამცველი ჰყავს, — გაიფიქრა კრავუკმა.

ბოსტაშვილმა იკისრა მცირერიცხოვანი რაზმის მეთაურობა. რაზმი სახელდახელოდ ჩამოაყალიბა იმ ადამიანებისაგან, რომელებსაც არასოდეს არ აუღიათ ხელში იარაღი.

ისინი შვიდნი იყვნენ ბოსტაშვილისა და ხასიკვდილოდ დაჭრილი კრავჩუკის გარდა.

ოცი წუთის განმავლობაში მამაცთა ჯგუფი უშიშარი მეთაურის ხელმძღვანელობით თავგანწირულად იცავდა ქალაქს ასობით კარგად გაწვრთნილი და თავით ფეხთამდე შეიარაღებული ბანდიტებისაგან.

— მოვტეხეთ, პირველად შევაცდი ადამიანში, — ფიქრობდა ბოსტაშვილზე კრავჩუკი და გამშრალ ტუჩებს იკვნეტდა. ბასმაჩებს კი სულ უფრო გარკვევით ესმოდათ რაზმის მეთაურის ლუარსაბ ბოსტაშვილის მკაფიო ხმა:

— მტრებს — ცეცხლი!

— კონტრრევოლუციას — ცეცხლი!

მაგრამ ძალები მეტისმეტად უთანაბრო იყო. 'ალისკვდილოდ დაჭრილმა ბოსტაშვილმა მაინც შეძლო მოეკრიბა ძალა. წელში გაგამართულიყო და გააფორეოებული ბანდიტებისათვის მიეხალა:

— გაუმარჯოს რევოლუციას!

მერე თვალთ დაუბნელდა და მიწა ფეხქვეშ გამოეცალა.

ბასმაჩები ქალაქს შეესივნენ. წინააღმდეგობით გაბორტებულნი არავის ინდობდნენ: არ დაინდეს და შეურაცხყვეს მეთაურის გვამიც კი.

რაკი გაიგო, რომ მეფის რუსეთის ყოფილ ოფიცერთან ჰქონდა საქმე, ფაიზული გაცოფდა:

— „კოპკარი“ — ხრინწნარევი ხმით დაჰყეფა მან.

კოპკარი — ტაჯიკი ჯიგითების ძველებური თამაშია, იგი ჩვენებურ ლელოს ჰგავს, მაგრამ ბურთის მაგივრობას ცხვარი ან თხა სწევს. ორმოცამდე ცხენოსანი თავაშვებული ჯარითისას ცდილობს ერთმანეთს ხელიდან გამოსტაცოს მძიმე ტვირთი.

ამჯერად მსხვერპლი მამაცი მეთაურის სხეული იყო...

ბოსტაშვილი გონს მაშინ მოვიდა, როცა ცხენები ოთხით გააკენეს ეელზე. უცბად ვერც მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს. ესმოდა ფლოქვების ბრიალი ხმა და ბასმაჩების ველური, ნამთვრალევი ყიჟინა. თვალები ეკრთა. ცხენის ბრძოლა ბრალი ფეხები, სახეზე საფანტივით შეეხეთ ფლოქვებით აყრილი ტალახი, მერე რაღაცამ მწვავედ გადაუსერა სახე.

ვიღაცამ ფეხებში სტაცა ხელი და გვერდზე გადაიქნია. წამით თვალაყირა გადმოეკიდა სივრცეში, მერე მძლავრმა ხელებმა ცხენზე აიყარეა. და მხოლოდ მაშინ, როცა ყოველივე ეს რამდენჯერმე გამეორდა, ბოსტაშვილი მიხვდა, რაც ხდებოდა მის თავს...

— ერთობიან... სულძალლები, — გაიფიქრა მან. მოულოდნელად ცხენი ყალეზე შედგა, მხედარმა უშაგარზე თავი ვერ შეიკავა და ტვირთთან ერთად ყირაზე გადავიდა.

ორი დღის შემდეგ, როდესაც ქალაქი წითელი არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ხამმო ხაფლავთან წარმოიოქვა ასეთი სიტყვები:

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე, ქართველი ლუარსაბ ზაქარიას-ძე ბოსტაშვილი მგირულად დაიღუპა დიადი საქმისათვის ბრძოლაში. დაე მარად ცოცხლობდეს მადლიერ შთამომავალთა ხსოვნაში ის ადამიანის სახელი, რომელმაც სიცოცხლის ფასად სამშრადიცო უკვდავება მოიპოვა“...

რამდენიმე დღის შემდეგ ტაშკენტის „გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ გამოქვეყნდა წერილი — „თქმულება ნამდვილ ადამიანზე“.

ავტორი წერდა: ბოსტაშვილის გმირობა ჰაუსისასხვანელი მაგალითია ბავარიის იმ ოფიცრებისათვის, რომელებსაც ყველაფერზე ჩაუნევია ხელი და პარიზის კაფე-შანტანებში უაზროდ კლავენ დროს, იმათთვისაც, ვინც საკუთარი სინდისი ფულად დოლარს ანაცვალა და სამშობლოს უღალატა. ავაზაკთა ამ ბრბოს არ ძალუძს იმ სასწაულმოქმედი ძალის გაგება და შეგნება, რომელმაც დიდი ოქტომბრის მე-12 წლისთავზე მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ნიკოლეა გვარდიის ჯარისკაცთა რიგებში ჩაუყენა, საბჭოთა ქალაქ გარმის უშიშარ დამცველად აქცია...“

ნათელი მარმარილოს საფლავის ქვებს ცოცხალი იასამნის თაიგულები ამშვენებენ. ნიავი არხევს ტაჯიკეთის მშვიდობიანი ქალაქის ძმათა სახაფლაოსთან ტანაშოლტილი ვერხვების ტოტებს...

მამაც დამცველთა უკვდავსაყოფად ცადაზიდულ ობელისკთან უწყვეტ ნაკადად მოდიან ადამიანები, მოდიან ცოცხალი ყვავილებით და გარინდულნი ფიგანან შრიალა ვერხვების ქვეშ. რაზე ჩურჩულებენ ვერხვები?! იქნებ ყვავიან ის დაუფიწყარ წლებზე და იმ ადამიანებზე რომლებმაც აქ სიცოცხლის ფასად გამოქედეს ხალხის ბედნიერება. ვინ იცის?!..

ლ. ეგოროვი.

სარედაქციო ფოსტა მოგვითხრობს

პარტიის ვეტერანები ვეტერანთა შესახებ

ფავლინ ხასიათის, შინაარსისა და შთაგონების ძალით შესანიშნავია ეს წერილები „კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტიდან. მაში გადმოცემულია რევოლუციის ჯარისკაცთა ცხოვრებისა და ბრძოლის მართალი ისტორია. რამდენმა ტყვიამ გადაიფიცა მათ თავზე! რამდენნი ხიშტმა გაიელვა მათ თვალწინ! რამდენი სისხლი დაიღვარა!

ისინი, ძველი ბოლშევიკები, რევოლუციისა და სოციალისტური შშენებლობის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილენი, ყველგან სასურველი სტუმრები არიან, სადაც ხალხი მათ დიდი პატივისცემით ხვდება.

რედაქციაში მიღებული წერილების ავტორთა ერთი ნაწილი თავმდაბლურად იგონებს რეგოლუციური ბრძოლის ეპიზოდებს. ამ ხასიათის წერილების ავტორები არიან **ვენდიქტე დალაქიშვილი, ვარლამ საყვარელიძე, სიო ხიდისთაველი-კალანდაძე, დავით ღვაბერიძე** (ქ. თბილისი), **გიორგი უაქეიშვილი** (ჩოხატაური), **მიხეილ ჭოხნელიძე** (მახარაძე).

მეორენი ხელში იღებენ ქალამს იმისათვის, რომ ასწერონ პარტიის ჯარისკაცების რევოლუციური ცხოვრება და მოღვაწეობა. ასეთ წერილებში დახასიათებული არიან ძველი რევოლუციონერები: **ნინო კობიაშვილი** (დუშეთის რაიონის სოფელი კობიანთკარი), **ანდრო დოლიძე** (მახარაძის რაიონის სოფელ ამაღლება), **პეტრე წოწორია, ირაკლი ლაშხია, პავლე ბაჩილავა...** (გეგეჭკორის რაიონის სოფელი ოფიცხოვო), **გიორგი ჩიტაური** და **ივანე იარაჯული** (თიანეთის რაიონი), **იასონ რენგიაშვილი** (ონის რაიონის სოფელ ჭიორა).

ამათ შესახებ გულთბილად გვწერენ შ. მარკოზაშვილი, ნ. სიმონიშვილი, სპ. ბართია, ბ. ჩიტაური, პ. რეგვიაშვილი.

განვლილ ბრძოლებზე რომ მოგვითხრობენ, ავტორები მადლობის პირველ სიტყვებს უძღვნიან ლენინის პარტიას, რომელმაც აღზარდა პარტიის ვეტერანები და უკვდავყო მათი საქმეები.

მიხეილ ჭოხნელიძემ თავის წერილში ნათლად გამოხატა თავისი მეგობრებისა და მებრძოლების ფიქრი და გრძნობა.

„როცა თვალს ვაგლებთ ნახევარი საუკუნის მანძილზე განვლილ ბრძოლისა და შრომის გზას, ჩვენ, ძველ ბოლშევიკებს, არ შეგვიძლია უდიდესი კმაყოფილება არ გამოვთქვათ მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელმაც ოქტომბრის დროშა, შექმნა საბჭოთა სახელმწიფო, გამარჯვებული გამოგვიყვანა სამოქალაქო ომიდან, აგვაშენებინა სოციალიზმი, დაგვიცვა ფაშიზმის შავი ჭირისაგან და ახლა ნათელი გზით მიგყავართ კომუნიზმის მწვერვალებისაკენ“

ახლა სიტყვას ვაძლევთ თვით პარტიის ვეტერანებს, ჩვენი თავისუფლებისათვის უშიშარ მებრძოლებს.

ვლ. კბილაძე.

უკმე პენსიაზე გასული ვიხსენებ თავისუფლებისათვის ბრძოლის წლებს. ჯერ კიდევ სოფელ ჭელიაღელის სკოლაში სწავლის დროს ვხელმძღვანელობდი მოსწავლეთა არალეგალურ წრეს, ვავრცელებდი არალეგალურ ლიტერატურას. 1917 წლის მარტში გავხდი ბოლშევიკური პარტიის წევრი.

თლუღისა და სხვა სოფლების პარტიული ორგანიზაციების დასმარებით რაჭის მაზრაში იქმნებოდა პირველი კომკავშირული ორგანიზაციები. 1919 წელს ამირჩიეს კომკავშირის რაჭის სამაზრო კომიტეტის მდივნად, 1920 წელს კი კომკავშირის თბილისის კომიტეტის წევრად.

მენშევიკებმა დამაპატიმრეს, მაგრამ მალე დავაღწიე თავი პატიმრობას. 1921 წლის თებერვალში პარტიის დავალებით წავედი რაჭის მაზრაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების მოსამზადებლად.

ჭმნიდით პარტიზანულ რაზმებს. ჩვენი პარტიზანული რაზმი შეეფრთდა მამისონის ულელტეხილით გადმოსულ წითელი არმიის ნაწილებს და მონაწილეობა მიიღო მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლებში.

რაზმს მეთაურობდა ცხრაასხუთელი პარტიზანი სამსონ კბილაძე (ჭელიაღელის ზონაში), ხოლო პარტიული ხელმძღვანელი იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი 1905 წლიდან ალექსი კბილაძე. მე რაზმის პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი.

ცხარე ბრძოლები გადავიტანეთ სოფელ ნიკორწმინდაში, ხონჭიორში, ჭელიაღელეში, კაჩეეთში, ხოტევში, ლემანუელის, ხარისთვალისა და ნაქერალას ტერიტორიაზე.

სახელი და დიდება მათ, რომელებიც იბრძოდნენ საქართველოს ოქტომბრისათვის.

ს. კარიაული.

ჩვენს სოფელში წმიდად ინახავენ ტიტე შიოს-ძე კარიაულის ნათელ ხსოვნას. ის იყო ხალხის სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი. „ჩვენი ტიტე“, როგორც მას უწოდებდნენ თანასოფლელები, პირველი იმპერიალისტური ომის ფრონტებიდან ბოლშევიკ ჯარისკაცად დაბრუნდა სოფელში და გააჩაღა არალეგალური პარტიული მუშაობა. 1918 წელს ზემო თიანეთში მან მოაწყო მენშევიკი-გვარდიელების განიარაღება, ხოლო იმავე წლის ივნის-ივლისში აქტიურად მონაწილეობდა დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყებაში.

ტიტე კარიაულმა, მთიულეთის გმირმა შვილმა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაიყოლია არაერთი მშრომელი გლეხი. მათ შორის იყო აგრეთვე მისი ღვიძლი ძმა კოლა (ნიკოლოზ) კარიაული, რომელიც ამჟამად პენსიონერია და დუშეთის ცხოვრობს.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება დროებით დამარცხდა. მენშევიკებმა სასტიკად იძიეს შური ხალხის საქმისათვის მებრძოლებზე. ჯალათებმა ტიტე კარიაული თავის ხუთ მებრძოლ ამხანაგთან ერთად 1918 წლის ზაფხულში შეიპყრეს და დუშეთის მახლობლად დახვრიტეს.

ტიტე კარიაულისა და მის მსგავს მებრძოლთა სისხლი ამოდ არ დაღვრილა. 1921 წლის თებერვალში საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რისთვისაც ვაჟკაცურად იბრძოდა ტიტე კარიაული.

ს. კალანდაძე.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავი ჩვენ ასეთ ფერად ეფიქრობ ინ ფიზიკოსებზე, რომლებიც უსამართლობას ებრძოდნენ, თავისუფლების მოსაპოვებლად რაზმავდნენ ხალხს. მათ შორის არიან სამეგრელოს ლეგენდარული ფიზიკოსი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ალექსანდრიელი, ბულგარეთსა და უნგრეთში, მონღოლეთსა და ბერლინში, ჩეხეთ-სლოვაკიაში, ბულგარეთსა და ბერლინში, ბერლინ-ბუდაპეშტში, ბულგარეთ-ბერლინ-ბუდაპეშტ-ბერლინ-ბუდაპეშტ-ბერლინ-ბუდაპეშტ

მეგობრული შეხვედრები

სახალხო უნგრეთში

უნგრეთში გამოშვებულია ქრონიკალურ-დოკუმენტური კინოფილმი, რომელიც ასახავს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტს ბუდაპეშტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ბუდაპეშტი. ოქტომბრის 50 წლისთავის მოახლოებასთან ერთად უნგრეთის საწარმოებში ფართოვდება სადღესასწაულო შრომითი შეჯიბრება.

საიუბილეო შეჯიბრებაში წარმატებებს მიაღწია მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმაც. პროდუქციის თითქმის 96 პროცენტი აქ პირველი ხარისხისაა. წარმატებით სრულდება გეგმის გადამეტებით 210 ათასი წყვილი ფეხსაცმლის გამოშვების ვალდებულებანი. აქედან 100 ათას წყვილს უკვე ოქტომბერში მიაწვდიან საბჭოთა კავშირს.

შაბანასანელი სამი წლის განმავლობაში გამოცემული 600-ზე მეტი წიგნი წარმოადგინა ბუდაპეშტის კომუტის სასულობის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოფენაზე, რომელიც უნგრეთის დედაქალაქში გაიხსნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

(საკდესი).

გულითადად გვახარებს

ფერენც ხავაში,
უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კომპარტიის ოლქის პარტკომის პირველი მდივანი, დელეგაციის ხელმძღვანელი

ჩვენ აქამდე მხოლოდ წაკითხულით და სხვების მონათხრობით ვიცნობდით საქართველოს, თქვენს მშვენიერ ქვეყანას, მაგრამ აქ ნანახმა და განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საბჭოთა საქართველოს მშრომელების, მისი შესანიშნავი ინტელიგენციის გაცნობამ დაგვარწმუნა, თუ რის მიცემა შეუძლია ხალხისათვის თავისუფლებას, მარქსიზმ-ლენინიზმის დიდ იდეებს. გულითადად გვახარებს ის წარმატებები, რაც ქართველმა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ბუქარესტი. ბედნიერება მოგვევლო საქართველოს მრავალი რაიონი და ქალაქი, გავცნობოდით მის საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საქართველოს კულტურას, ხელოვნებას. დიდად გვახარებს ის, რომ თქვენში ასე კარგად იცნობენ ჩვენს სამშობლოს, მის წარსულსა და აწმყოს. მინდა „კომუნისტის“ მკითხველებს ვაუწყო, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესათვის, რომ ჩვენს საწარმოებში გაშლილია შეჯიბრება ზეიმის ღირსეულად შეხვედრისათვის, იმართება საუბრები, ლექციები ოქტომბრის დიად მონაპოვარზე, ეწყობა გამოფენები, რომლებიც უნგრელებს აცნობენ, რას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში თქვენმა ქვეყანამ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უნგრელ ხალხს ვუამბობთ აქ ნახულსა და განცდილზე. ჩვენი დელეგაციის ყველა მონაწილის მოვალეობაა ვუამბოთ, როგორ შრომობენ და იღვწიან დიადი მომავლისათვის საბჭოთა საქართველოს მშრომელები.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ყველა ორგანიზაციას, ყველა მუშაკს გადავუხადო გულითადი მადლობა უნგრული კულტურის დეკადის ასე კარგად ჩატარებისათვის.

მთავარი მიზანი

კლარა ვარკონი-ლასლოვი,
უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების კულტურის განყოფილების გამგე, მხატვრული დელეგაციის ხელმძღვანელი

მოგეხსენებათ, რა დიდი წარმატებით ჩაიარა გასულ წელს უნგრეთში ქართული კულტურის დეკადამ.

როცა საქართველოში მოვემგზავრებოდით, ვცდილობდით ისე შევეკრიბა დელეგაციის შემადგენლობა, რომ საქართველოს მშრომელებისათვის გაგვაცნო ჩვენი კულტურა, ჩვენი ხელოვნება. მინდა მადლობის გრძნობით მოვიხსენიო ჩემი ქართველი კოლეგები, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს უნგრეთის მასალების პროპაგანდაში. აგრეთვე მინდა აღვნიშნო ჟურნალისტების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების მუშაობა.

დეკადის დღეებში გამოქვეყნდა შესანიშნავად გაფორმებული პლაკატები. კარგად არის ორგანიზებული უნგრეთის გრაფიკის გამოფენა. ქართველმა მუსიკოსებმა უნგრელ მუსიკას მიუძღვნეს სპეციალური საღამო-კონცერტი.

დეკადამ არა მარტო ხელი შეუწყო უნგრული კულტურის გაცნობას ქართველი ხალხისათვის, ამასთანავე ჩვენი დელეგაციის წევრებმა უკეთ გაიცნეს საქართველო, ქართული კულტურა და ხელოვნება. დამყარდა პირადი კონტაქტები უშუალოდ ამ ორი ხალხის წარმომადგენლებს შორის. და სწორედ ეს არის ჩვენი მუშაობის მთავარი მიზანი — ხალხთა ურთიერთგაცნობა, დაახლოება, დამეგობრება.

დიდი შთაგეჰდილება

იანოშ ალბერტი,
ჟურნალისტი

ვმუშაობ ჟურნალ „ნადვილაგის“ რედაქციაში საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების გამგედ. ეს ისეთივე სასიამოვნო ჟურნალია, როგორც თქვენი „ინოსტრანნაია ლიტერატურა“, ვეწევი მთარგმნელობითს მუშაობას. ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვაცნობ საბჭოთა ხალხების ლიტერატურას. ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ი. ნონეშვილის, მ. ქვლივიძის, ო. ჭელიძისა და სხვა ქართველი პოეტების ნაწარმოებები.

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ რა გულთბილი შეხვედრა მოვუწყეთ რედაქციაში თქვენს შესანიშნავ პოეტს გიორგი ლეონიძეს. მისი ლექსები თარგმნა „ნადვილაგის“ რედაქტორმა კოშუტის პრემიის ლაურეატმა აკადემიკოსმა კორდოშ ლასლომ. თითქმის ორ საათს გაგრძელდა საუბარი ჩუენს რედაქტორსა და გიორგი ლეონიძეს შორის.

რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას საქართველოში, ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვმონაწილეობ უნგრული კულტურის დეკადაში. აქ ბევრი მეგობარი შევიძინე. შევხვდი ჩემს ძველ მეგობრებსაც.

ჩემი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს ჟურნალისთვის შეგაგროვო მასალები საქართველოზე, ქართულ ლიტერატურაზე. ბათუმში ყოფნისას გავიცანი პოეტი ფრიდონ ხალვაში, რომელმაც გადმომცა ლიტერატურის ციკლი უნგრეთზე, ეს არის ჩვენს ქვეყანაში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ამ ლექსებს ვათარგმნინებ და გამოვაქვეყნებ „ნადვილაგის“ ფურცლებზე, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გავაცნობ ავრეთვე იოსებ ნონეშვილის ახალ ლექსებს.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქართული კულტურის გაცნობამ. განსაკუთრებით აღფრთოვანებული ვარ თქვენი არქიტექტურული ძეგლებით, ქართული სახვითი და დეკორატიული ხელოვნებით, ჰიდროლოგის, ხიზე კვეთილობის შესანიშნავი ნიმუშებით. ჩემი პირველი სტატია მიეძღვნება სწორედ ქართულ ხელოვნებას. ვფიერობ, ჩვენს მკითხველებს ამით უფრო ნათლად გავაცნოთ ქართველი ხალხის დიდი კულტურა. შემდეგ კი, როცა დავამუშავებ საქართველოდან წაღებულ მასალებს, გამოვაქვეყნებ წერილს ქართულ ლიტერატურაზე.

მუდამ სიმღერაებით

კატალინ ურბანი,
მსახიობი, ხალხური სიმღერების შემასრულებელი

ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას ვიცნობდი ქართულ მუსიკას, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს. ჩემს რეპერტუარში ღირსეული ადგილი უჭირავს ძველ ქართულ სიმღერა „სულიკოს“. ეს ჩემი საყვარელი სიმღერაა. მახარებს, რომ „სულიკომ“ აქ ბევრი ნეგობარი შემძინა. ჩვენი დელეგაციის წევრ ამბრუშ კირისთან ერთად სიმოვნებით ვასრულებ ქართულ საესტრადო სიმღერა „ორერასა“.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ საუბლება მომეცა მენახა ეს ლამაზი ქვეყანა. აქ ყოფნის დროს მოვისმინე არაერთი შესანიშნავი სიმღერა როგორც პროფესიონალი მსახიობების, ისე თვითმოქმედი კოლექტივების შესრულებით. აღფრთოვანებული ვარ ქართული მუსიკით. ქართული ცეკვებით, ვეცდები სამშობლოში თან წავიღო კიდევ ერთი ქართული სიმღერა, რომ ჩემს ხალხს სიმღერით ეუამბო საქართველოსა და მის ხალხზე.

სამოყვრობდ და სამეგობროდ

ა. გიგოშვილი,
საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა უნგრელი ხალხის წარმოგზავნილებს, მის საზოგადო და კულტურულ მოღვაწეებს.

მთელი ათი დღის განმავლობაში სადაც კი იყვნენ ჩვენი უნგრელი მეგობრები, — თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, მცხეთაში, მახარაძეში, თელავში, რესპუბლიკის საწარმოებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებში თუ სხვაგან, ყველგან მათ უსაზღვრო სიხარულითა და დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ.

საქართველოში უნგრეთის კულტურის დღეების ესოდენ მაღალ დონეზე და წარმატებით ჩატარებას ხელი შეუწყო იმ დიდმა ყურადღებამ და მზრუნველობამ, რომელიც გამოიჩინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

როგორც უნგრეთში შარშან ქართული კულტურის, ისე საქართველოში წელს უნგრული კულტურის დეკადის ჩატარების ძირითადი და უმნიშვნელოვანესი მიზანია ჩვენს ორ ხალხებს შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება და გაფართოება. სწორედ ამ დიდ და კეთილშობილურ მიზანს ემსახურებიან უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება, რომელთა ინიციატივით განხორციელდა უნგრეთსა და საქართველოში კულტურის დღეების ურთიერთ ჩატარება.

ქართველმა საზოგადოებამ იცის, თუ რა დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოსა და უნგრეთს შორის კულტურულ ურთიერთობას. იგი განსაკუთრებით გაფართოდა მას შემდეგ, რაც უნგრელმა ხალხმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით ხელში აიღო ძალაუფლება და წაიყვანა თავისი ქვეყანა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

როგორც უკვე ცნობილია, ქართველი ხალხისა და უნგრელი ხალხის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება, გამგეობის თავმჯდომარე აკადემიკოსი ალ. ბარამიძე, მოადგილეები, პროფესორები ქსენია სიხარულიძე, შოთა ძიძიგური და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე საყვარელიძე.

ჩვენს უნგრელ მეგობრებს კულტურის დღეების ჩატარების პერიოდში ბევრ ადგილას ჰქონდათ შეხვედრები რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის წარმომადგენლებთან. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. დიორის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა და ხელოვნების სხვა ოსტატებმა მაყურებელთა და მსმენელთა გულწრფელი მოწონება დიმსახურეს. თბილისში სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში დამსწრეთა დიდი მოწონებით სარგებლობს უნგრეთის სახვითი ხელოვნების გამოფენა, თბილისის მრავალ კინოთეატრში წარმატებით მიმდინარეობს უნგრული კინოფილმების ჩვენება.

უნგრეთის კულტურის დღეებისათვის გამოვიდა პოეტ გრიგოლ აბაშიძის მიერ შესანიშნავად თარგმნილი დიდი უნგრელი პოეტის და ეროვნული გმირის შანდორ პეტეფის რჩეული ლექსთა კრებული, პროფესორ შუშანგი ობოლაძის წიგნი „ქართული კულტურის დღეები უნგრეთში“ და პროფესორ შოთა ძიძიგურის წიგნი „უნგრეთის კულტურა“.

ჭეშმარიტად მადლობის ღირსი არიან ჩვენი რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობა, რომლებმაც ასე ფართოდ და დიდი გემოვნებით გააშუქეს უნგრეთის კულტურის დღეების მიმდინარეობა საქართველოში.

ახლა, როცა ვაჯამებთ უნგრეთის კულტურის დღეების შედეგებს, მადლობის გრძნობით არის აღსანიშნავი ის დიდი მონაწილეობა და მზრუნველობა, რომელიც უნგრეთის კულტურის დღეებისა და მის მონაწილეებისადმი თბილისის, აბარის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, თელავის, მახარაძის და მცხეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გამოიჩინეს.

დღეს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში შედგება უნგრეთის კულტურის დღეების საზეიმო დახურვა, ხვალ კი ჩვენი უნგრელი მეგობრები სამშობლოში გაემგზავრებიან.

ვუსურვოთ მათ და უნგრელ ხალხს შემდგომი დიდი წარმატებანი მათი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში, უნგრელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

უნგრული სახვითი ხელოვნების ოსტატების ნაწარმოებთა ექსპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პლაკატისტების ნამუშევრებს. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): პლაკატები საბჭოთა ფილმებისათვის „ბალტიკის დეპუტატი“ და „ქარბუქი“, პოლონური ფილმისათვის „ზღაპარი იმათზე, ვინც მთვარე მოიპარა“ და პოლიტიკური პლაკატი „ძირს ფაშიზმი“.

ალექსანდრე პეტრეს-ძე წულუკიძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქირურგი-უროლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **ალექსანდრე პეტრეს-ძე წულუკიძე.**

ალექსანდრე წულუკიძე დაიბადა 1888 წლის 23 ივნისს ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შეუდგა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1913 წელს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოფლის ექიმად დალესტანში, ხოლო პირველი იმპერიალისტური ომი რომ დაიწყო, არმიაში გაიწვიეს და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ქირურგიული მატარებლის უფროსი იყო.

1916 წლიდან ა. წულუკიძე თბილისში მუშაობს, დაჭრილთა ლაზარეთში. ცნობილი ქირურგის გრიგოლ მუხაძის ხელმძღვანელობით. 1919 წელს გ. მუხაძემ იგი ასისტენტად მიიწვია ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკაში.

უროლოგიაში დახელოვნების მიზნით 1922-1923 წლებში, ხოლო მეორედ 1926 წელს ა. წულუკიძე მივლინებული იყო საზღვარგარეთ და მუშაობდა გერმანიის, საფრანგეთის და ავსტრიის ცნობილ კლინიკებში. 1925 წელს თბილისის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

1927 წელს ა. წულუკიძემ მოაწყო საქართველოში პირველი დამოუკიდებელი უროლოგიური განყოფილება და მიიღო პრივატ-დოცენტის წოდება. 1930 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება და დაეკისრა ქირურგიის კათედრის გამგეობა. პარალელურად უროლოგიის კურსს კითხულობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

1935 წლიდან პროფ. ა. წულუკიძე თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიისა და უროლოგიის კათედრას განაგებს, ხოლო 1953 წლიდან, როდესაც იგი უროლოგიის ცალკე კათედრა ჩამოყალიბდა, ამ კათედრას ხელმძღვანელობს. ამავე დროს — 1949 წლიდან 1953 წლამდე ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის დირექტორიც იყო.

1959 წელს პროფ. ა. წულუკიძის ინიციატივით გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც თვითონ მუშაობდა ბოლო ხანებამდე. წლების განმავლობაში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი.

დიდია ა. წულუკიძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. მან ჩამოაყალიბა ექიმთა ბრიგადა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა და რომელიც თერფინელებთან ომის დროს ფრონტზე იყო 1939-1940 წლებში. დიდი სამამულო ომის დროს პროფ. ა. წულუკიძის დაკვრის სამინისტროს ევაკოჰოსპიტლების სამმართველოს, სამმართველოს მთავარი ქირურგი იყო და ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა არმიის დაჭრილი მეომრების მკურნალობისათვის.

ა. წულუკიძემ შექმნა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი უროლოგიური სკოლა. მის მოწაფეთა შორის ათობით მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. ასობით პრაქტიკოსი ექიმი; ბევრი მათგანი ახლა თვითონ ხელმძღვანელობს კლინიკებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

პროფესორი ა. წულუკიძე 150-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მისი ნაშრომები, რომლებიც ქირურგიის, უროლოგიის და მედიცინის იატორიის აქტუალურ საკითხებს ეხება, გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. მისი სახელმძღვანელები ქირურგთა და უროლოგთა მაგიდის წიგნებია. ამას გარდა ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომია შესრულებული.

ალექსანდრე წულუკიძე სკკპ წევრი იყო 1945 წლიდან.

მეცნიერულ და პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად აკადემიკოსი ა. წულუკიძე საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების რამდენიმე მოწვევის საბჭოს დეპუტატი. ქირურგთა და უროლოგთა საკავშირო საზოგადოებების გამგეობათა წევრი და საპატიო წევრი, საქართველოს და თბილისის უროლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, ჟურნალ „უროლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის უროლოგიის განყოფილების თანარედაქტორი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვ.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ა. წულუკიძის ნაყოფიერ საექიმო, პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1941 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1945 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1955 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით და მედლებით.

ალექსანდრე პეტრეს-ძე წულუკიძის სახით ჩვენმა მედიცინამ და რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ დაკარგეს გამოჩენილი მეცნიერი, შესანიშნავი ექიმი, ახალგაზრდა კადრების აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე, მოქალაქე-პატრიოტი.

ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნა-მუდამ იცოცხლებს ბევრ მრავალრიცხოვანი მოწაფეების გულში, ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უროლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, საქართველოს და თბილისის უროლოგთა საზოგადოებები

□ □

აკადემიკოს ა. პ. წულუკიძის დაკრძალვის მოგნყობი კომისიისაგან

აკადემიკოს ა. პ. წულუკიძის დაკრძალვის მოგნყობი კომისია იუწყება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 24 და 25 სექტემბერს 20 საათზე ფიზკულტურის ქუჩაზე მდებარე № 6 სახლში. 26 სექტემბერს სამოქალაქო პანაშვიდი 16 საათზე, გამოვენება 17 საათზე სამედიცინო ინსტიტუტის შენობიდან (მელიქიშვილის ქ. № 10).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ძმური თანაგრძნობა

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 22 სექტემბერი. (საკდესი). კუბისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა ასამბლეის დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა გულითადობის, ამხანაგობისა და ძმობის ატმოსფეროში, ხელი მოაწერეს დოკუმენტს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში კუბისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის შესახებ, წერს გაზეთი „ერანმა“.

ხელი მოაწერეს აგრეთვე 1968 წლის სავაჭრო ოქმს.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ მიღწეული შეთანხმებანი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი წვლილია ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებაში და ნიშნავს, რომ გაძლიერდა კუბელ და ვიეტნამელ ხალხთა საბრძოლო სოლიდარობა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 22 სექტემბერი. (საკდესი). ასამბლეის სამუშაოთა ანგარიში. ასამბლეის სპეციალური კორესპონდენტები ვ. ეგორეევი და ს. ლოსევი გვატყობინებენ:

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე გაძელდებოდა ზოგადი პოლიტიკური დისკუსია.

სხდომის დასაწყისში სიტყვა წარმოთქვა **შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტორსტენ ნილსონმა,** რომელმაც მოიწონა შეერეებულ შტატებს პირველმა გადადგა ნაბიჯი ვიეტნამის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. „მოგეხსენებთ გამოიჩინონ მზადყოფნა, რომ დაიწყონ დეესკალაციის პროცესი, რომელსაც შეუძლია შვეიდობა მოუტანოს ვიეტნამელ ხალხს“, — თქვა ნილსონმა. მან მოითხოვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტა და გამოთქვა რწმენა, რომ „ომის შედეგად შეიძლება გადაიკრას კონფლიქტი, ან შეუდგნენ კონფლიქტის გადაჭრას“.

შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრი მიესალმა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროექტებს, რომლებიც ასამბლეას წარუდგინეს.

ნილსონმა განაცხადა, რომ შვეიცარია მზრუნველობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტაკეო მიკიმ განაცხადა, იაპონელ ხალხს ერთსულოვნად და გულწრფელად სურს, რომ ვიეტნამში რაც შეიძლება მალე დამყარდეს მშვიდობა, მაგრამ მას სიტყვაც არ დაუტოვებია, რათა დაეგმო ამერიკის აგრესია ვიეტნამში და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვა. ტ. მიკიმ მხარეებს მოუწოდა ყოველ ღონე იხმარონ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მიმართ იაპონის საგარეო საქმეთა მინისტრმა ორეროვანი პოზიცია დაიკავა. ერთი მხრივ მან განაცხადა, რომ ისრაელის ჯარები დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, მეორე მხრივ მოუწოდა, რომ გაიმართოს უშუალო მოლაპარაკება ისრაელსა და მისი აგრესიის მსხვერპლთა შორის.

ტ. მიკიმ მოიწონა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, თუმცა ზოგიერთი შენიშვნით.

დღეგანდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა **სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.** სიტყვის დასაწყისში მან რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. კორნელიუ მენესესუს მიულოცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიის თავმჯდომარის საპატიო პოსტზე არჩევა.

ა. ა. გრომიკომ ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გამო.

მთელი დარბაზი ტაშით შეხვდა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს დასკვნითს სიტყვებს.

შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელმაც გამოიყენა პასუხის უფლება. ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის სხდომა.

ᲯᲔᲠ ᲛᲝᲠᲘᲒᲓᲜᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 22 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ხუნტის წევრები ვერაფრით ვერ მორიგდნენ.

დღეს დაიპატიჟეს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი აუ ჩინგ თხანი. იგი ცდილობდა თავისი კანდიდატურა დაეხახელებინა 3 სექტემბრის არჩევნებში, მაგრამ არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მისი სახელი ამოშალეს კანდიდატთა სიიდან. თხანი „პროიმუნისტად და ნეიტრალისტად“ გამოაცხადეს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი გვატყობინებს, თხანი ცდილობდა ემიგრანტად წასვლას შეერთებულ შტატებში.

„სკალდია-ვოლგისა“ და „რენოს“ ახალი კონტრაქტი

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 22 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა ავტომობილმრეწველობის „სკალდია-ვოლგამ“ და ფრანგული ავტომანქანების „რენოს“ ბელგიაში ამწყობმა და გამსაღებელმა საზოგადოებამ ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის შესაბამისად კომპანია „რენოს“ ქარხანაში, რომელიც ბრიუსელის გარეუბანში მდებარეობს, ააწყობენ „მოსკვიჩებს“.

საბჭოთა ავტომობილმრეწველობის „სკალდია-ვოლგა“ შეიქმნა 1964 წელს ავტომანქანების „ნოსკვიჩის“, „ვოლგისა“ და „ზაპოროჟეცის“ ბელგიაში, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში იმპორტისა და გასაღების მიზნით. ამ დროის მანძილზე საბჭოთა ავტომანქანების გასაღება ამ ქვეყნებში გაიზარდა 1.100 ცალიდან დაახლოებით 4.000-მდე 1967 წელს. ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გაფართოებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია, რომ 1968 წელს ბრიუსელში დაამთავრონ საზოგადოება „სკალდია-ვოლგის“ დიდი სავაჭრო-ტექნიკური ცენტრის მშენებლობა, რომლის ფართობი იქნება 13 ათასი კვადრატული მეტრი. ამ ცენტრში განლაგდება საგანმოფენო დარბაზი, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელოსნოები.

ᲬᲧᲐᲚᲛᲘᲬᲘᲓᲝᲑᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 22 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, გაჭიანურებულმა მუსონურმა წვიმებმა ჩრდილოეთ ინდოეთში გამოიწვიეს უჩვეულო დიდი წყალდიდობა. ექვსი დღის კოკისპირულმა წვიმამ დიდი ზარალი მიაყენა ბიჰარის შტატის ორ რაიონს — პატნასა და გაიეს.

ქალაქ პატნის რაიონში ადიდდა მდინარე პუნა და დატბორა ქალაქის სამხრეთი ნაწილი.

მარტო პატნის მიდამოებში წყალდიდობის შედეგად დაზარალდა 200 ათასზე მეტი კაცი, დაიგრა რამდენიმე ათასი თიხატაეპნილი სახლი. ხელისუფლები ახორციელებენ სასწრაფო ღონისძიებებს მცხოვრებთა ევაკუაციისათვის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 სექტემბერი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრ ვილსონის კანცელარიამ გამოაქვეყნა პრემიერ-მინისტრის პასუხი საბჭოთა მოქალაქის გალინა ტკაჩენკოს წერილზე, რომელშიც ტკაჩენკო აღშფოთებას გამოთქვამდა ინგლისის ხელისუფალთა პროვოკაციათა გამო პირადად მის და მისი ქმრის ვლადიმერ ტკაჩენკოს მიმართ.

თავის წერილში პრემიერ-მინისტრი იცავს ინგლისის პოლიციის მოქმედებას. ვილსონი უარყოფს გალ

დღეს ორდენოსან სამხრეთ ოსეთში

მწყობრში დგება...

ცხინვალი. მშენებელთა მთელი ყურადღება გადატანილია ავტობუსების სარემონტო ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის საიუბილეო დღეებში ჩადგება მწყობრში.

სამუშაო უბანზე ყოველთვის ნახავთ სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს დ. იაშვილს, „საქმეშონტაჟის“ გორის სამმართველოს ინჟინერს ი. ბრეგვაძეს, ქარხნის მთავარ ინჟინერს მ. გულიევს, ისინი საქმიანად მსჯელობენ მშენებლობის ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე. ჩქარობენ, ბეჯითად შრომობენ მშენებლები, რათა დათქმულ პირობას არ ეღალატონ.

დადგა სამუშაოთა უკანასკნელი ეტაპი. საქმეში ჩაბმულან შრომის კომპლექსური ბრიგადები. მეგბათქაშვილები, დურგლები, მეტალონელები. მთავრდება ალაგ-ალაგ შემორჩენილი წვრილმანი სამუშაოები. ეზოში კი ქალი თუ კაცი კეთილმოწყობის სამუშაოებით არის გართული.

მაგრამ ყველაზე მეტი საზრუნავი მემონტაჟეებს აქვთ. მემონტაჟეთა ჯგუფმა, რომელსაც ქ. კაბისაშვილი ხელმძღვანელობს, დაამთავრა თბობაზის გაყვანა, ქვაბების დამონტაჟება, მოაწყო ხიდური ამწეები. დაიდგა და დამონტაჟდა მთელი რიგი მოწყობილობანი.

ვ. ცოტნიაშვილი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ცხინვალი. (საკ. კორ.). საკმაოდ მდიდარია ექსპონატებით სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მას ყოველთვის [illegible] ევრი დამთვალიერებელი ეპყავს. განსაკუთრებით ამ ტა მომხველელთა რიცხვმა ამ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა გაცხოველებით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ჩოაწყო ახალი ექსპოზიციები: შრომისა, სოფლის მეურნეობის, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურული ძეგლების ამაღლების შესახებ სამხრეთ ოსეთში ომისშემდგომ პერიოდში.

წარმოდგენილი ექსპონატები მოგვითხრობენ, თუ როგორ გაიზარდა სამხრეთ ოსეთში მრეწველობა, რა განვითარება აპოვა ომის წლებში ოლქის სოფლის მეურნეობამ და კულტურულმა ჩაშენებლობამ. ამ უკანასკნელ წლებში სამხრეთ ოსეთში შეიქმნა ელექტროტექნიკური, ხე-ტყის დამამუშავებელი მსუბუქი და კვების მრეწველობის, საშენი მასალების საწარმოები.

მუზეუმი მომხველელი ეცნობა ცალკეული საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ეკონომიკის ზრდას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებას მთის და მთისწინა ზონებში.

დაიწყო ხილის კრეფა

ცხინვალი. ოქროს შემოდგომა დადგა სამხრეთ ოსეთში. განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავია ხეხილის ბაღები, სადაც ნაყოფით მძიმედ დახუნძლულან ხეები, ნაირფერებით ნაქარგია ცხინვალის რაიონის სოფლების ქსოვილისა და დმენისის კოლმეურნეობების და ერედვის საბჭოთა მეურნეობის ბაღები. იკრიფება ზაფხულის შაფრანი, გვიანდელი ბანანი, კანადური რენეტი... ვიშლით დატვირთული ავტომანქანები განუწყვეტლივ მიემართებიან დამამზადებელი პუნქტებისაკენ ხილის მაღალ მოსავალს ღებულ ზნაურის რაიონის სოფლების ავნევისა და მუგუთის, ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის კოლმეურნეობები.

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში ოქტ. გაიგზავნა ცხინვალური ხილის პირველი პარტიები. მალე მოსკოვს, ლენინგრადს და თბილისს სადღესასწაულოდ გაეგზავნებათ სამხრეთ ოსეთის ბაღებში დაკრეფილი არომატული ვაშლი და კიკოკვანი ხილი.

გ. კოზაევი.

შენდეგა წყალსადენი

ზნაური. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრის წყალსადენი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამიტომ რამდენიმე წლის წინათ გადაწყდა ახალი წყალსადენის მშენებლობის საკითხი. მალე მშენებლებიც მოვიდნენ და საქმეს შეუდგნენ. ამჟამად წყალსადენის მილები მთლიანად ჩაყრილია თორმეტკილომეტრიან ტრასაზე, მიმდინარეობს სათავე ნაგებობის მშენებლობა.

ზნაურის შრომელები ახალი წყალსადენის წყალს საიუბილეო დღეებში მიიღებენ.

ლიდი ლაშქრობის წინ

თმორი ქარავნები მალე გაუდგებიან კასპიისპირეთის შორეულ გზას. მგზავრობისათვის დიდი მობდომებით ემზადებიან ლენინგორის რაიონის მეცხვარეობის კოლმეურნეობები. უკვე დამთავრდა ცხვრის პარსვა და მატყლის სახელმწიფოსათვის ჩაბარება. რაიონმა პირნათლად გაანაღდა მატყლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის 9 თვის დავალება. გაცხოველებით მიმდინარეობს ცხვრის გათვალგამოწვნევა. მეცხვარეთა ფერმების, ბრიგადებისა და ფარების დაკომპლექტება. სამგზავრო ტრანსპორტისა და ინვენტარის მომზადება.

ზ. კოზაევი.

ახალი საცხოვრებელი კვარტალები

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი — ქალაქი ცხინვალი. შენდება საწარმოო ნაგებობანი, კულტურის კერები, ბოლო ხანებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობას, მუშა-მოსამსახურეები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები იღებენ ახალ, კეთილმოწყობილ ბინებს. ქალაქის ქუჩებს ამშვენებს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ცხინვალს ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ახალი საცხოვრებელი კვარტალები შეემატა. ქალაქში ჩამსვლელი უმალვე შეამჩნევს რკინიგზის სადგურის ახლოს ლამაზად ნაგებ ხუთსართულიან სახლებს. ამ უბანს რკინიგზის რაიონის საცხოვრებელ კვარტალს უწოდებენ. ასევეე საცხოვრებელი კვარტალი გაჩნდა ლუდის ქარხნის უბანში, ტელმანის ქუჩაზე და სხვ.

საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობის დროს ითვალისწინებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს, მაღაზიებს, სასადილოებს, კულტურის კერებს.

ი. ნადირაძე.

სურათზე: ქალაქ ცხინვალის ერთ-ერთი კუთხე.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

თბილისის საერთაშორისო...

დასასრული მიუახლოვდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ერთი კვირის მანძილზე გასათამაშებელი შეხვედრებიდან მხოლოდ ფინალური თამაშები დარჩა. გუშინ კი „დინამოს“ კორტებზე უყურადღების ცენტრში იდგა ქალთა და ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალური თამაშები.

ვაჟთა ერთეულში ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ძველი მეტოქეები — ესტონელი თ. ლეიუსი და სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისელი ა. მეტრეველი. ბრძოლა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. ორივე მხარე გამარჯვებისაკენ ისწრაფოდა. ანგარიში პარტიებში ხშირად თანაბრდებოდა, მაგრამ თბილისელმა ამჯერად ერთხელ კიდევ დაჯაბნა მეტოქე, მოიგო სამივე პარტია და ფინალში გავიდა — 7:5, 6:3, 8:6. არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა მეორე ნახევარფინალისტის ვ. კოროტკოვისა და ვ. ეგოროვის ორთაბრძოლაც. ფინალში გასულის უფლება უკანასკნელს ხვდა — 6:3, 3:6, 2:6, 4:6.

კვლავ ლიდერია ტ. შტადლერი

სუბტიცა. მსოფლიო ჩემპიონის წინააღმდეგ პრეტენდენტთა ასპარეზობის პირველ ათ ტურში ბრწყინვალე შედეგი მოიპოვა იუგოსლავიელმა მოჭადრაკემ ტ. შტადლერმა — 9 ქულა! იგი 2 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეს — თბილისელ სტუდენტ ნ. ალექსანდრიას. ა. კუშნირსა და ვ. ნედელკოვიჩს (იუგოსლავია) 6,5 — 6,5 ქულა აქვთ, ტ. ზატულოვსკაიას — 6 ქულა, ა. კისლოვას — 5,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, მ. მარკოვიჩს (იუგოსლავია) და ვ. კოხლოვსკაიას — 5,5-5,5 ქულა. (საკდესი).

ქალთა შორის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ფინალში გასვლისათვის იბრძოდნენ ო. მოროზოვა და გ. ბაკშეევა. ცნობილ ძლიერ მოწინააღმდეგესთან პაექრობაში გამარჯვებას ო. მოროზოვამ მიაღწია — 6:3, 6:4. მეორე ნახევარფინალურ მაჩში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. დმიტრიევამ სძლია ჩეხოსლოვაკიელ ვ. ვოპიჩკოვას — 0:6, 6:4, 6:2.

გუშინდელ მატჩებში ა. მეტრეველს კიდევ მოუხდა გამოსვლა. ამჯერად შერეულ წყვილთა პაექრობაში, სადაც მან ა. დმიტრიევასთან ერთად მოუგო რიდე-მარმურიანეს — 6:4, 6:1. ჩალკო-ჰოუს შეხვედრა ივანოვა-ლიხაჩოვთან პირველი წყვილის სასარგებლოდ დამთავრდა — 4:6, 7:5, 6:1.

დღეს ტურნირის უკანასკნელი დღეა.

წყალში მხტომელთა ასპარეზობა

დედაქალაქის „დინამოს“ აუზში გამართულ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდების ასპარეზობის პირველ დღეს ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კოშკურიდან, ხოლო ვაჟები ტრამპლინიდან ხტომებში. როგორც ერთ, ისე მეორე იარაღზე დიდხანს ლიდერობდნენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონები ქალებში **თამარ სარქისოვა** და თბილისელი **ბორის პოლულიახი.**

მაგრამ თ. სარქისოვამ ცუდად შეასრულა ბოლოსწინა ხტომა და იძულებული გახდა მეოთხე ადგილით დაკმაყოფილებულიყო — 281,90 ქულა. გამარჯვება ევროპის თასის ბრინჯაოს პრიზიორს მოსკოველ **გალინა ალექსეევას** ხვდა, რომელმაც 298,30 ქულა მოაგროვა.

ბ. პოლულიახმა ცუდად შეასრულა დასკვნითი, მეცხრე ხტომა. მას გაუსწრო 20 წლის დრეზდენელმა მექანიკოსმა **ლოტარ მატუსმა** — 449,65 ქულა. მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ მოსკოველები **ვლადიმერ ვასინი** — 447,85 ქულა და **მიხეილ საფონოვი** — 446,60 ქულა. მეოთხე იყო ბორის პოლულიახი — 442,90 ქულა.

პირველი დღის შედეგებით წინ საბჭოთა გუნდი იმყოფება.

სპორტული ქრონიკა

△ **ოსტრავა.** ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ახალგაზრდა სპორტსმენი ე. კუზმანოვა გადახტა 619 სანტიმეტრზე, ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდა რიგელი ჰ. რინგა — 600 სანტიმეტრი. 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა აფრიკელმა სტუმარმა გ. კონემ (სპილოს ძვლის ნაპირი) — 10,4. ჩეხოსლოვაკიელი ი. ბურდა გადახტა 208 სანტიმეტრ სიმაღლეზე.

△ **იტალიაში** გრძელდება მსოფლიო პირველობა ადგილიდან სროლაში. ქალთა შორის ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა დასავლეთ გერმანელი სპორტსმენი ე. ფონ-ზონდენი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები საბჭოთა მსროლელებს ვ. გერასიმასა და ვ. ვერიგინას ხვდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაილინდი

ევროპის ოქროს ფეხბურთი

ინდოეთში ჭვიმებმა თუმცა იკლო, მაგრამ მდინარეებს ბევრი „ძველი“ წყალი ემატება.

წყნარი ოკეანის ჩრდილოეთში ბოგრობს უზარმაზარი ციკლონი „რუტი“. მექსიკის ყურეში შეიქრა გრიგალი „ბეულანი“ კოკისპირული წვიმებითა და ქარით. ამ ციკლონებ ტრიალებენ... სადგურ „ვოსტოკში“, მიუხედავად გაზაფხულისა, მინუს 62 გრადუსია.

ბ. მიხაილოვა,
სსრ კავშირის ჰიდრომეტეოცენტრის მთავარი სინოპტიკოსი.

ბრაზილიაში ერთ-ერთ ადგილზე ერთ საათში 15 მილიმეტრ ნალექი მოვიდა. ეს ამ ადგილებისთვის ნორმაზე ოთხჯერ მეტია. ეს ბუნებრივი მოვლენა ადგილობრივ ბინადრებს ბევრ ზიანს მოუტანს. ბევრ ადგილას ტბებმა ნაპირებიდან გადმოიარე